დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ბეგლარაშვილი

წევრები:

დავით გუდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2"
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051224
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 14 ნოემბრის №1448243 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“-ში 2022 წლის 12 დეკემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. წარმოების მიზანს წარმოადგენდა „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მისი შესაბამისობის დადგენა.

დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების მატერიალური რესურსი.

მოკვლევის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დაწესებულების შიდა რეგულაციებისა და საკანონმდებლო მოთხოვნათა შესაბამისად, დასტურდება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, კოლეჯს აქვს პროგრამის განხორციელების რესურსი, რომლის საშუალებითაც შეუძლია სასწავლო პროცესის ორგანიზება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებისთვის. ამასთან, კოლეჯი ფლობს შესაბამის მეთოდოლოგიას თავად საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მეორე სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

კოლეჯს აქვს კეთილმოწყობილი, საერთო საცხოვრებელი და მოსასვენებელი სივრცე, რომელსაც სთავაზობს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ პროფესიულ სტუდენტებს.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში რეკომენდაციები არ ყოფილა გაცმული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში მკაფიოდ გაიმიჯნოს ფუნქცია-მოვალეობები როგორც პროგრამის ხელმძღვანელისა და როგორც განმახორციელებლისა.
- პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმირებულობის გაზრდა იმ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით, რომლებიც მას, როგორც პროგრამის ხელმძღვანელს ეკისრება პროგრამის განხორციელების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2"-ის დირექტორის 2022 წლის 31 ოქტომბრის #1378223 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ზესტაფონი, ნ.ნიკოლაძის ქ. #28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.** დაწესებულებამ განმარტა, რომ პარტნიორ კომპანიებთან ურთიერთობის, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან კონსულტაციებისა და შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა ელექტროობის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საჭიროება. აღნიშნული პროგრამის დამატების მიწანშეწონილობის დასადასტურებლად მათ წარმოადგინეს შემდეგი არგუმენტაცია:

- კოლეჯის წარმომადგენელთა თქმით, ქვეყანაში არსებობს დეფიციტი ისეთი მაღალკვალიფიციური კადრებისა, რომლებიც აღნიშნული სამუშაოების შესრულებას პროფესიონალურ დონეზე უზრუნველყოფენ. ეს ინფორმაცია მათ აქვთ მიღებული პოტენციური დამსაქმებლებისგან. კოლეჯმა მტკიცებულების სახით წარმოადგინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპანია „ანაგის“ წარმომადგენელთან ელექტრონული ფოსტით მიმოწერა, რომელშიც კომპანიის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ ელექტროობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ყოველთვის მოთხოვნადი და რთულად საშოვნელი კადრია და რომ საჭიროა ამ მიმართულებით ახალგაზრდების დაინტერერსება და სპეციალობის საფუძვლიანი შესწავლა. მიმოწერაში კომპანია ხაზს უსვამს იმას, რომ არსებული კადრების ცოდნა არაა საკმაირისი, რომ დასაქმდნენ სამშენებლო ობიექტზე ამ საფრთხის შემცველ და საყურადღებო სპეციალობით, ამიტომ საჭიროა მათი საფუძვლიანი და სიღრმისებული ცოდნით აღჭურვა.
- კოლეჯმა აღნიშნული საკითხის მოკლვევის მიზნით ჩაატარა დისტანციური გასაუბრება ასევე სხვა კომპანიების წარმომადგენლებთანაც. მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო ZOOM პლატფორმით შეხვედრების ფოტოები.
- აღნიშნული სპეციალობით პოტენციური სტუდენტების ინტერესი მაღალია. კოლეჯი ახორციელებს ელექტროობასთან დაკავშირებულ მოკლევადიან პროგრამისაც („ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“), რომლის ფარგლებშიც გამოცხადებლი მიღებისას დაფიქსირდა მაღალი მოთხოვნა. კერძოდ კოლეჯმა წარმოადგინა 40 მომლოდინე სტუდენტის სია საგაზაფხულო მიღებისთვის. კოლეჯის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სკოლებში საბაზო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურის დამამთავრებელი კლასისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრებისას, მოსწავლეებისგან დაინტერესება სწორედ ელექტრიკოსის პროფესიისადმი იყო გამოხატული.

- კოლეჯის წარმომადგენელთა მტკიცებით, აღნიშნული პროგრამა მიეკუთვნება ისეთ სფეროს, რომელიც ხელს შეუწყობს თვითდასაქმებასაც, რადგან პროგრამის კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ თავიანთ სოფელსა თუ ქალაქში გაუწიონ მომსახურება მსურველებს ანაზღაურების სანაცვლოდ.

ამასთან, კოლეჯის მისიაშიც იკითხება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოებისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდება, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რასაც პირდაპირ ეხმიანება პროგრამა „ელექტროობის“ დამატების დასაბუთებები. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებითაც განსაზღვრულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. შესაბამისად, „ელექტროობის“ პროგრამის დამატების ინიციატივა შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთანაც და სტრატეგიასთანაც.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.** პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ წინაპირობებს. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული „ჩარიცხვის წესის და პირობების“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა არის საბაზო კვლაიფიკაციის და მასზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება. დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია.

3. **საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის MES 4 21 0000167327 ბრძანებით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ საგანმანთლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განთლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამისთვის სასწავლო გარემოდ განსაზღვრულია A, B და C გარემო, რომლებშიც პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა - 20. კვირეული საათობრივი დატვირთვისა და მოდულების განხორციელებისთვის საჭირო გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელება 40 სტუდენტზე ნამდვილად შესაძლებელია ორი ცვლის პირობებში, თუმცა დაწესებულების განცხადებით, ისინი თავდაპირველ მიღებას გეგმავენ 20 პროფესიულ სტუდენტზე და მათ მიერ პროგრამის დასრულებამდე გამოცხადდება მიღების მეორე ეტაპი დარჩენილ ადგილებზეც, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო ცხრილის აწყობას ისე, რომ ორივე მიღების ფარგლებში ჯამში 40 სტუდენტზე გადანაწილდეს შესაბამისი გარემოს გამოყენება.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.** ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დეტალური ჩამონათვალი იმ რესურსებისა, რომლებიც საჭიროა პროგრამით განსაზღვრული მოდულების მისაღწევი შედეგების დასაფარად. ამასთან, ხარისხის მართვის მექანიზმები (სტუდენტთა და განმახორციელებელთა გამოკითხვა) მოიაზრებს საკითხებს პროგრამის რესურსების შეფასებასთან დაკავშირებით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს პერიოდულად მიიღოს სტუდენტებისგან და განმახორციელებლებისგან უკუკავშირი მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.** საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის ბრძანებით. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის'' დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის MES 9 21 0000164208 ბრძანების მე-2 მუხლის 2.4 პუნქტის თანახმად „.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულება, კერძოდ, პროგრამის დამტკიცება ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.“

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.** სახელწოდება ემთხვევა შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სახელწოდებას და მისი შინაარსი და სწავლის შედეგებიც თანხვედრაშია აღნიშნულ დოკუმენტთან. კერძოდ: საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მიღების შედეგად კურსდამთავრებულები შეძლებენ გაუწიონ დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება, გამოიყენონ ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები, დაამონტაჟონ და შეამოწმომ განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში, მოიპოვონ და გამოიყენომ საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით, გამოთვალონ ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები, წაიკითხონ და დახაზონ საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით, ასევე, შექმნან და წარადგინონ პროექტი.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება როგორც დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებს, ასევე კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და ჩარჩო დოკუმენტს ელექტროობა / Electricity, სარეგისტრაციო ნომერი 07313-პ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2“-ის მიერ წარმოდგენილი ,,ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2“-ის დირექტორის 2022 წლის 31 ოქტომბრის MES 5 22 0001378223 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტროობის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ელექტროობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მატერიალური რესურსის გათვალისწინებით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი;
- დაწესებულებასა და კომპანია ,,ანაგის“ წარმომადგენელს შორის მიმოწერა;
- დაწესებულების წარმომადგენლის ონლაინ შეხვედრის ფოტოები სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან;
- მოკლევადიანი პროგრამით დაინტერესებულ მომლოდინე პირთა სია;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.** ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა'' განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოები, რომლებშიც განთავსდება 20-20 პროფესიული სტუდენტი. A, B გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (მაგიდები, სკამები, პროექტორები, კომპიუტერები...):

A გარემო - ფართი 46.6კვ.მ. სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20;

B გარემო - სამუშაო ადგილების რაოდენობა 20, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით;

C გარემო არის აღჭურვილი პროგრამისათვის შესაბამისი დანადგარებით, სამუშაო ადგილების რაოდენობა 20;

საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით დაწესებულებას შეუძლია სტუდენტთა ორი ჯგუფის (სულ 40 სტუდენტი) სწავლების უზრუნველყოფა აღნიშნულ სივრცეში ორ ცვლაში. C გარემოში განთავსებულია აღჭურვილობა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით, კოლეჯს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ელექტროობა“ აღჭურვილობის ჩამონათვალი დანართი N17-ის სახით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის (ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორი, ლაბორატორიული რეოსტატი, მეგომეტრი, ომმეტრი. ფაზომეტრი და სხვა). ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა აღნიშნული რესურსების ფლობა. დაწესებულებამ წარმოადგინა მათი შესყიდვის დოკუმენტური მტკიცებულებაც შესყიდვის ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარებების სახით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ ფარგლებში გათვალისწინებულია მოდული ,,გაცნობითი პრაქტიკა“, რომლის ფარგლებში იგეგმება სასწავლო ექსკურსიები პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც პროფესიული სტუდენტი გაეცნობა მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოსა და სპეციფიკას. სტუდენტისთვის გაცნობითი პრაქტიკს ფარგლებში სასწავლო ექსკურსია/ექსკურსიების უზრუნველყოფა განხორციელდება კოლეჯის დამფუძნებელი კომპანიის ,,ბიქეი ქონსტრაქშენის“ რეგიონში მიმდინარე ობიექტებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ნამდვილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.** პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,ელექტროობა" N18 დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი (თითო მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი), რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.** ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამრიგად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები შესაბამისობაშია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და დარგის ექსპერტებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ „ელექტროობის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, სასწავლო საქმიანობასა და დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, რომელიც სრულად შეესაბამება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის“ მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება N08-27 (30 სექტემბერი, 2022 წ.), რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ამავე ხელშეკრულებით არის დარეგულირებული მასთან, როგორც მოდულების განმახორციელებელთან, შრომითი ურთიერთობა, თუმცა ფუნქცია-მოვალეობებში არაა გამიჯნული რა ევალება მას როგორც პროგრამის ხელმძღვანელს და რა, როგორც განმახორციელებელს. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულებამ მკაფიოდ გამოყოს დაწესებულების ხელმძღვანელის ხელშეკრულებაში აღნიშნული ორი როლი თავისი ფუნქცია-მოვალეობებით.

ასევე, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესში, თუმცა გამოიკვეთა, რომ ნაკლებია მისი ინფორმირებულობა იმ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობებზე, რომლებიც მას, როგორც პროგრამის ხელმძღვანელს, დაეკისრება პროგრამის განხორციელების ეტაპზე. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის მაღალი დარგორივი კომპეტენცია იძლევა იმის გარანტიას, რომ კოლეჯის მხრიდან მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციული მოვალეობების ნათლად აღწერის, განმარტებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, აღნიშნული პიროვნება ნამდვილად შეძლებს ხელმძღვანელის ფუნქციების პირნათლად შესრულებას პროგრამის განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის ნაწილი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში ნაბეჭდი სახით, თუმცა ხელმისაწვდომია ყველა მათგანის ელექტრონული ფორმატი (საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი სთავაზობს მათ მასალების ამობეჭდვასაც) და ყველა რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერითა და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს, საჭიროების შემთხვევაში, წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნით, რაც გულისხმობს სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით უზრუნველყოფას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით კოლეჯს განსაზღვრული აქვს ის პროცესები, რომელთა საშუალებითაც მოხდება საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.** პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისგან. შემოსავლებად განსაზღვრულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 13 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მატერიალური რესურსის შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები;
- პროგრამის დანართი მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მასთან გაფორმებულიშრომითი ხელშეკრულება N08-27 (30 სექტემბერი, 2022 წ.);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდა სამუშაო აღწერილობა;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.** ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის'' დირექტორის 2021 წლის 30 ოქტომბრის MES 7 20 0001052327 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის" ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, რომლის თანახმადაც სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა, სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის შესაბამისად.

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით კოლეჯს განსაზღვრული აქვს შემდეგი მიმართულებების შემოწმება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- სასწავლო გარემო;
- მატერიუალური რესურსისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასება;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების ინსტრუმენტები;
- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების სრულყოფას დაწესებულება ახდენს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა (ხორციელდება პროფესიული სტუდენტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით) და ვერიფიკაციის მეშვეობით. კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისი გამოკითხვისთვის შექმნილი კითხვარებიც, რომლებიც იძლევა მიზნის შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საშუალებას. ხარისხის მართვის მექანიზმების დამტკიცებულ დოკუმენტში ასევე გაწერილია ის სხვა მექანიზმებიც, რომელთა საშუალებითაც ხდება ინფორმაციის შეგროვება (მაგალითად, დაკვირვება სასწავლო პროცესზე).

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.** კოლეჯის წარმომადგენელები ინტერვიუებშიც და ხარისხის მართვის მექანიზმების დამტკიცებული დოკუმენტითაც ადასტურებენ, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მთავარი მიზანია, გამოავლინოს არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. შესაბამისად, კოლეჯს განსაზღვრული აქვს, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება ხორციელდება შემდეგი მიზნებისთვის: პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

კოლეჯის წარმომადგენლებმა ინტერვიუირებისას ხაზი გაუსვეს, რომ აღნიშნული პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია დაწესებულების პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების სრული ჩართულობა. კოლეჯს აქვს მზაობა დამტკიცებული ხარისხის მართვის მექანიზმების გამოყენებით პერმანენტულად შეაგროვოს ინფორმაცია პროგრამის შეფასების მიზნით და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გააკეთოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებების ინიცირება არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერვიუს შედეგები
- კითხვარები
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის'' დირექტორის 2021 წლის 30 ოქტომბრის MES 7 20 0001052327 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის" ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.** პროგრამის დამატების შემთხვევაში არსებული მატერიალური რესურსი და განმახორციელებლების კომპეტენცია იძლევა საშუალებას, რომ პროცესები წარიმართოს კოლეჯის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმების შესაბამისად.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.** დაწესებულებას აქვს მზაობა, სტუდენტთა ინტერესების მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ინდივიდუალური საჭიროებები გაითვალაისწინოს სწავლების პროცესში. ამას ადასტურებს როგორც ინკლუზიური განათლების პროცესისთვის მზაობა, ასევე თუნდაც დაწესებულებას მიერ წარმოდგენილი მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რომლებიც ქმნის მზაობას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მოდულები განახორციელონ დისტანციურ რეჟიმში. ასევე, ხარისხის მართვის მექანიზმებში არსებული სტუდენტთა უკუკავშირის მიღებისა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით თუნდაც პროგრამის ცვლილების ინიცირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობის არსებობა, ნამდვილად იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები გაითვალისწინონ და მოახდინონ რეაგირება მათ საჭირობებზე.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.** პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ელექტროობა“ ითვალისწინებს როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სწავლების თანამედროვე მეთოდების, ისე დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებით დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემოს მოწყობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიუებით დაადასტურეს, რომ მათ აქვთ პროფესიული გამოცდილება და კომპეტენცია, რათა სრულყოფილად უზრუნველონ პროფესიული სტუდენტებისთვის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება.

.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.** პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ელექტროობით“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, დაწესებულებას აქვს შესაბამისი მზაობა, მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია მექანიზმები, ასევე, ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების დროს აღნიშნული დაადასტურეს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმაც.

კოლეჯს განსაზღვრული აქვს, რომ სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკის გადამოწმება განსახილველ პროგრამაზე ვერ მოხერხდა, ვინაიდან ის ჯერ არ ხორციელდება, თუმცა დაწესებულებას აქვს შესაბამისი მზაობა, მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმები. პროგრამას ასევე თან ახლავს დანართი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელშიც განსაზღვრულია ის მოდულები/სწავლის შედეგები, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურ რეჟიმში.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებულია კოლეჯის მიერ განსაზღვრული შესაბამისად აღჭურვილი C გარემოს გამოყენებით. გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება ითანამშრომლებს დამფუძნებელთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით: დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს ბკ ქონსთრაქშენს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, კოლეჯის დაფუძნების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული სწავლის შედეგების რეალურ გარემოში მიღწევის უზრუნველყოფას.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტორ2“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო C გარემოში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და დამშვები ნიშნები. სამუშაო სტენდი დამიწებულია. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას სტუდენტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი პროფესიული განათლების მასწავლებელია.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ პროგრამას აქვს სპეციფიკური უსაფრთხოების მოთხოვნები, დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელებისას უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციები გაწერილია შესაბამის დოკუმენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამები და სასწავლო გეგმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს ,,ბიქეი ქონსტრაქშენს" შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
- უსაფრთხოების წესების ინსტრუქციები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების თანახმად განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

ამასთან, დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად განსაზღვრულია .განმავითარებელი შეფასების გამოყენება სწავლის პროცესის შეფასების მიზნით, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. კოლეჯის მიერ განმავითარებელი შეფასება მოაზრებულია საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილად და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

კოლეჯის შიდა რეგულაციის მიხედვით, შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულ კრიტერიუმთა საფუძველზე განიხილავს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობასა და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ის პროცედურები, ინფორმირების ვადები, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა დეტალები, რომელთა მიხედვითაც ახორციელებს კოლეჯი სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ მოდულებს ახლავს დეტალური რელევანტური სწავლის შესრულების კრიტერიუმები და მათი შეფასებისთვის შერჩეული ადეკვატური, მრავალფეროვანი მეთოდები: პრაქტიკული დავალებები, დაკვირვება, გამოკითხვა, ტესტი, სიტუაციური ანალიზი, პრეზენტაცია და ა.შ.

2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესს. დაწესებულებას დირექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის #1445047 ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმები. ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანების საფუძველზე და მოიცავს შიდა მხარდაჭერის ჯგუფსა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებს. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ვერიფიკაციის მექანიზმები“, სადაც განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცედურები და ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების როლები და პასუხისმგებლობები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესს, ვერიფიკაციის პროცედურა გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას, რაც ნიშნავს სასწავლო პროცესში უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის შეფასებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების, პროცესებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მასში გაწერილია შეფასების პრინციპების დაცვის შემთხვევაში, როგორი ტიპის პროცესები, ინსტრუმენტები და მტკიცებულებები ითვლება სანდოდ, ვალიდურად, ობიექტურად, სამართლიანად და გამჭვირვალედ. ვერიფიკაციის ეტაპებად განსაზღვრულია: ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა, სამუშაო გეგმის შექმნა, რისკების განსაზღვრა, ვერიფიკაციის განხორციელება, შედეგის ანალიზი და უკუკავშირი/დაგეგმვა.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.** კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მართვის მენეჯერს.

შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულის მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც განხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის ხარისხის მართვის მექანიზმების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, შედეგების ანალიზზე დაყრდნობით სასწავლო პროცესშივე მასწავლებლის მიერ ხდება სტუდენტის განმავითარებელი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში კოლეჯს აქვს მზაობა, აღნიშნული შედეგების საფუძველზე მოახდინოს ცვლილებების ინიცირებაც პროგრამის განვითარების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის მართვის მექანიზმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვერიფიკაციის მექანიზმები;
- პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი მოდულები;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: ვიზიტის დღის წესრიგი
თარიღი: 29.12.2022 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: